საქართველოს კანონი
„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს კანონში „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება-დამატებები:

ა) 9^1 მუხლის მეორე ნაწილს დაემატოს „$ო^1$“ პუნქტი:

$ო^1$) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზება;

ბ) მე-12 მუხლს დაემატოს „$ტ^1$“ პუნქტი.

$ტ^1$) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზების სასწავლო-აღმზრდელობითი და სამუშაო რეჟიმის წესების დადგენა;

გ) 22-ე მუხლის მესამე ნაწილს დაემატოს „$ო^4$“ პუნქტი:

$ო^4$) საკრებულოს წარუდგენს დედაქალაქში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზების სასწავლო-აღმზრდელობითი და სამუშაო რეჟიმის წესებს.

დ) 23^1 მუხლის $ტ^2$ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

$ტ^2$) სოციალურ-კულტურული, განათლების და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება;

ე) დაემატოს შემდეგი შინაარსის 34^2 მუხლი

მუხლი 34^2 ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

1. აკრძალულია ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გადასახადის, ტარიფის, ან რაიმე სხვა საფასურის შემოღება ძირითადი სასწავლო-აღმზრდელობითი და კვებითი მომსახურებისათვის.
2. დედაქალაქის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ერთიანი სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის

მოქმედების წესებსა და სამუშაო რეჟიმის დებულებას თბილისის მერის წარდგინებით ამტკიცებს დედაქალაქის საკრებულო.

3. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი პროგრამის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებები:

ა) იქმნება 2 თვიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის და კომპლექტდება ჯგუფებად, ასაკის გათვალისწინებით;

ბ) მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს 9, 10 ან 12 -საათიანი 2 დღის დასვენებით 5-დღიან სამუშაო კვირაში;

გ) უნდა ანხორციელდებდნენ საგანმანათლებლო და ფიზიკური აღზრდის სპეციალურ პროგრამებს. პროგრამა შედგენილი უნდა იყოს ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის და მიმართული იყოს გონებრივი და ფიზიკური განმტკიცებისა და ბავშვის ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობების სრულყოფისაკენ;

დ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაღალხარისხიანი სასმელი წყლით, აგრეთვე, ცხელი წყლით, კანალიზაცით, გათბობისა და ვენტილაციის სისტემებით;

ე) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვთა სრულფასოვანი და მრავალფეროვანი კვებით;

ვ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ექიმის მომსახურებით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*

თბილისი,